ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2199103

ნომერი: AR1343254

თარიღი : 21.09.2015

გაცემის თარიღი : 02.10.2015

გაცნობის თარიღი : 02.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფიელ დვალის ქუჩა , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარი მღვდელაძე პ/ნ 01012018576
- ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ კორპ 407 ბ 57

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოთ მიწის ნაკვეთისთვის საკადატსრო კოდით: #01.19.39.026.014 ქალაქმშენებლობითი პარამეტრების, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის კ2-3,0-მდე გაზრდას გაცნობებთ, რომ AR1203693 განცხადების საფუძველზე მიწის ნაკვეთისთვის Y-ის მნიშვნელობა განისაზღვრა Y=0,33-ით. გამომდინარე იქიდან, რომ 2014 წლის 25 ნოემბრის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #15–29 დადგენილებით „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4–13 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით y–ის მნიშვნელობის ცვლილება ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის კანონმდებლობით აიკრძალა (შესაძლებელია მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში), უნდა დააზუსტოთ მოთხოვნილი კოეფიციენტების მომატების შედეგად იცვლება თუ არა y–ის მნიშვნელობა და დამატებით უნდა წარმოადგინოთ სრულყოფილი ქალაქგეგმარებითი დასაბუთება, ობიექტის ესკიზური ვარიანტი რომლის დაპროექტებასაც ფიქრობთ მითითებულ ტერიტორიაზე (არსებული და მოთხოვნილი ქალაქმშენებლობითი პარამეტრებით), ტერიტორიის გენგეგმა, მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემის (y–ის მნიშვნელობის) როგორც Y=0,33-ით ასევე Y=0,4-ის ჩვენებით და დააზუსტოთ ქალაქმშენებლობითი კოეფიციენტები;

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება გამოსწორებული ხარვეზები, საკითხი დარჩეს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.